საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ელბაქიძე თინათინ კონსტანტინეს ასული

ელბაქიძე თინათინ კონსტანტინეს ასული (დ. 5. VIII. 1933, თბილისი), ჟურნალისტი, მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1985). დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკულტეტი (1956). მუშაობა დაიწყო სოხუმის სახელმწ. დრამ. თეატრში. იყო თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი. 1956–1961 წლებში შეასრულა 20 როლი: მაია წყნეთელი (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი"), ბეატრიჩე (კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური"), ბიანკა (უ. შექსპირის „ოტელო") და სხვ. ე. 1961-იდან 2004-მდე მუშაობდა საქართვ. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დიქტორად, ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას, ჰქონდა საავტორო გადაცემები: „რაღაც უნდა გადარჩეს" და „ლიტერატურული სალონი". პარალელურად 1980 დააარსა „ერთი მსახიობის პუბლიცისტური თეატრი", რ-ის პირველი სპექტაკლები დაიდგა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე. შემდეგ თეატრმა თსუ-ში გადაინაცვლა და 2005-მდე იარსება. ე. იყო ამ თეატრის მსახიობიც, რეჟისორიც, მხატვარიც, კომპოზიტორიც, რეპერტუარის ავტორიც. თეატრის მრავალფეროვანი რეპერტუარიდან აღსანიშნავია: „რუსთაველის ნაკვალევზე" (ი. აბაშიძე), „წინ, დავით აღმაშენებლისაკენ" (აკ. ბაქრაძე), „პატარა სამშობლო" (გ. ქიქოძე), „მხოლოდ სიმართლეა შეუმუსრავი" (აკ. გაწერელია) და სხვ. ე. ავტორია კრებულებისა: „ჩემი კუნძული", "რადიოს ოქროს ფონდის საგანძური" და „სხვა და სხვა".